



ბუნების საოცარი ქალა

## კლასი VI

### ტექსტის ტიპი – საინფორმაციო-შემეცნებითი

დუგლას ე. რიჩარდსის წიგნის მიხედვით

ეს მასალა შეიქმნა ამერიკელი ხალხის კეთილი წებითა და აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით, USAID საბაზისო განათლების პროგრამის ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან თანამშრომლობით. მასალა მომზადებულია USAID საქართველოს დაწყებითი განათლების პროექტის (G-PriEd) ფარგლებში შექმნილი რესურსების საფუძველზე.



ბუნება, რომელიც ასეთი მრავალფეროვანია და მშვენიერი, რომელიც გვატყბობს თავისი განუმეორებლობით, შეიძლება დაუჯერებლად ამოუცნობი ან საშიში იყოს. ყველამ ვიცით ქარიშხლის, ნამქერის, ზვავის, ტყის ხანძრების, ნიაღვრების, ტალღების მიქცევა-მოქცევის და თვით ელ-ჭექის შესახებ. ვკითხულობთ ენციკლოპედიებს და გვგონია, რომ ჩვენს პლანეტასთან დაკავშირებული ყველა კითხვა პასუხგაცემულია, ყველა საიდუმლო ამოხსნილია, ყველაფერი შესწავლილია...

მაგრამ, ნუ იჩქარებ. თუ შენც ფიქრობ, რომ დედაბუნება სხვა ვეღარაფრით გაგაკვირვებს, ჯერ კარგად დაფიქრდი და ეს წიგნი წაიკითხე. აქ ნახავ ზოგიერთ ისეთ მოვლენას, რომელიც, მართალია, ხშირად არა, მაგრამ ჩვენს პლანეტაზე მაინც ხდება და სანამ მათ კარგად შევისწავლიდეთ, შეგვიძლია უბრალოდ ბუნების ჭირვეულობა დავარქვათ.



## ბაყაყების ცვია

ნარმოიდგინე, რომ წვიმიან ამინდში გარეთ დგახარ, მაგრამ წვიმის წვეთების ნაცვლად ციდან თავზე ბაყაყები გაცვივა!

2007 წლის ივნისში სერბეთში რომ ყოფილიყავი, ასეთ მოვლენას ნამდვილად შეესწრებოდი.

ალბათ, იკითხავ, საიდან ხვდება ცაში ბაყაყები? მეცნიერების აზრით, წყლის ქარბორბალასა და ტორნადოს შეუძლია „შეინოვოს“ ტბების, ჭაობებისა და ზღვების ზედაპირი. თუ ქარბორბალა განსაკუთრებით ძლიერია, მას შეუძლია წყალთან ერთად აიტაცოს ბაყაყები, თევზები და მათთან ერთად გადაიქროლოს მთები, მინდვრები. შემდეგ კი მრავალი მილის დაშორებით გადმოყაროს ისინი ქვევით.





ამფიბიების ციდან ცვენის შემთხვევები დაფიქსირდა ლონდონსა (1998 წ.) და სერბეთში (2005 წ.). თევზების „წვიმა“ კი წამოვიდა უელსსა (2004 წ.) და ინდოეთში (2006 წ.).

ციდან ჩამოცვენილი თევზები არა, მაგრამ თვითმხილვებს თუ დავუჯერებთ, სერბეთში „წვიმის“ სახით მოსული ბაყაყების ნაწილი ჩამოვარდნისას გადარჩა და ხტუნვა-ხტუნვით გაეშურა უახლოესი ჭაობის მოსაძებნად.

ზოგჯერ ქარბორბალა მაღლა აიტაცებს უდაბნოს წითელ ქვიშას ან ზღვის წყალთან ერთად პატარა, მწვანე წყალმცენარეებს. შემდეგ ისინი ატმოსფეროში შეერევა წყლის უნვრილეს წვეთებს. საბოლოოდ კი, დედამიწის ამა თუ იმ ადგილას განსხვავებული ფერის ნალექი მოდის. შენ რას იტყოდი, ზამთრის ადრიან დილას გაღვიძებულს გარეთ მწვანე ან წითელი თოვლი რომ დაგხვედროდა?

## უსწრაფესი ქარი

ქარის უსწრაფესი სიჩქარე, რომელიც ოდესმე დაფიქ-  
სირებულა, საათში 511 კილომეტრია. ის 1999 წელს,  
შეერთებულ შტატებში, ოკლაჰომა სიტის მახლობლად,  
ტორნადოს დროს განვითარდა. ეს რეკორდული სის-  
წრაფის ქარი პატარა დასახლებაში შებინდებისას  
დაიწყო. ღამით კი საშინლად გაძლიერდა. ტორნადოს  
შედეგად გარდაიცვალა ოთხი ადამიანი, დაინგრა 250  
სახლი.

მანამდე, 8 წლით უფრო ადრე, უსწრაფესად ითვლე-  
ბოდა ტორნადო, რომლის ქარის სიჩქარე,  
დაახლოებით, 450 კმ/სთ-ს უდრიდა. ის 1991 წლის 26  
აპრილს დაფიქსირდა ნითელი კლდის მიდამოებში  
(აშშ, ოკლაჰომას შტატი).




**ტორნადო** (ხშირად მოიხსენიება, როგორც **ციკლონი**) – ძლიერი, საშიში, მბრუნავი ჰაერის სვეტი, რომელიც დედამიწის ზედაპირს ეხება და გზად ანადგურებს ყველაფერს. ის ღრუბლების შეჯახების დროს წარმოიქმნება. ტორნადო სხვადასხვა ფორმისა და ზომისაა, მაგრამ, ძირითადად, სქელი საკვამურის ფორმა აქვს, რომლის ვიწრო მხარეც დედამიწიდან ყველაფერს ისრუტავს და ხშირად მტვრის ღრუბლებს ტოვებს. ტორნადოების უმეტესობას აქვს ქარის სიჩქარე 117 კმ/სთ-ში და სიგრძით, დაახლოებით, 80 მეტრია. სანამ გაქრება, იგი რამდენიმე კილომეტრს გაივლის. ამ დრომდე დაფიქსირებული ყველაზე საშიში ტორნადოს ქარის სიჩქარე 511 კმ-ს აღწევს საათში და სიგრძით 3 კმ-ია. გაქრობამდე გაივლის 10000 კმ-ს.

მეცნიერები ტორნადოს კლასიფიკაციას მათ მიერ მიყენებული ზიანის მიხედვით ახდენენ. ტორნადო, რომლის ქარის სიჩქარეც საათში 120 კმ-ს აღწევს, მიწასთან ასწორებს სახლებს, ავტომანქანებს კი ჰაერში ისვრის. ხოლო ტორნადოს, რომლის ქარის სიჩქარე საათში 482 კილომეტრზე მეტია, შეუძლია რელსებიდან გადააგდოს მატარებლის ვაგონები, ნიადაგიდან ამოთხაროს ხეები და თვით მყარად დაგებული ქვაფენილიც კი აყაროს ქუჩაში.

ტორნადოს ქარის პირდაპირი მახასითებლების დადგენა თითქმის შეუძლებელია. ამიტომ მეტეოროლოგები მისი კლასიფირებისთვის მის დამანგრეველ ძალას იყენებენ. ქარის საზომი ჩვეულებრივი ინსტრუმენტები ვერ უძლებს უმძლავრეს ქარბორბალას, რის გამოც მეცნიერებმა ახლახანს დაიწყეს შედარებით მიახლოებითი გამოთვლები სპეციალური მოწყობილობის, **დოპლერის რადარის** მეშვეობით.

დოპლერის  
რადარი



ტორნადოს სიმძლავრე ფუჭიცუს სკალით იზომება. იგი ტორნადოს ინტენსივობის გასაზომად შემუშავდა მის მიერ მიყენებული ზიანის საფუძველზე. სკალაზე უმაღლესი მაჩვენებელია -6. ის ჯერ არცერთი ტორნა-დოსთვის არ მიუნიჭებიათ.

მეცნიერები, რომლებიც ამინდს იკვლევენ, აცხადებენ, რომ ქარის მონაცემების გაზომვა საკმაოდ დიდი მიღწევაა. ქარიშხლების დროს შეგროვებული ინფორმაცია ხელს შეუწყობს ტორნადოების საიდუმლოების ამოცნობას.

## ცეცხლოვანი ტორნადო

პატარა ტორნადო შიშსა და გაკვირვებას იწვევს. შედარებით დიდი ტორნადოს დროს ადამიანები თავშესაფრებისა და სარდაფებისკენ გარბიან. ხოლო მონსტრი ტორნადო, ქარიშხალი, რომელიც -5 დონეს აღწევს, მართლაც რომ შემაძრნუნებელია.

კიდევ უფრო საშიში მოვლენაა ცეცხლოვანი ტორნადო. თუ შენ ჰაერის მბრუნავ მასას დაუმატებ მხურვალებას, ნაცარსა და ცეცხლს, შედეგად ცეცხლოვან ტორნადოს მიიღებ. ცეცხლის კონუსს შეუძლია მოსწყდეს მიწას, სწრაფად გადაადგილდეს და გაანადგუროს ყველაფერი, რაც კი გზად შეხვდება.

ძლიერი ხანძრის დროს ცეცხლი შთანთქავს დიდი რაოდენობით ჟანგბადს. გაცხელებული ჰაერი სწრაფად იწევს ზემოთ, ცივი კი ქვემოთ ჩამოდის და მის ადგილს იკავებს. ამ დროს ძლიერი ქარი წარმოიშობა. ზოგჯერ ეს თვითწარმოქმნილი ქარიშხალი ცეცხლოვან ქარბორბალას





იწვევს. ამ ცეცხლისმფრქვეველმა ტორნადომ შეიძლება 15 მეტრამდე სიგანეს მიაღწიოს, ხოლო სიგრძეში – 40-სართულიანი შენობის სიმაღლეს.

ცეცხლოვანი ტორნადოების შესახებ დღეს ძალიან მწირი ინფორმაცია გვაქვს. ისინი ისეთ სიტუაციებში წარმოიშობა, რომელთა თავიდან აცილებასაც თითქმის ყველა ჩვენგანი ცდილობს: ადამიანები ყველაფერს აკეთებენ საიმისოდ, რომ ასეთი სანდრები დაწყებიდან მაქსიმალურად მცირე დროში გაანეიტრალონ. ანუ, ცეცხლი ისე არ გაძლიერდეს, რომ ცეცხლოვანი ტორნადო წარმოქმნას.

## „ხვრელი“ ზღვის სიღრმეში

შენი აზრით, ეს რა არის? იქნებ, წყალქვეშა ტორნადოა?

არა, ასეთი რამ ბუნებაში არ არსებობს. სინამდვილეში ეს ზღვის სიღრმეში არსებული „ხვრელებია“. ისინი ოკეანის ფსკერზე, ზედაპირიდან 1,6 კილომეტრის სიღრმეზე ჩნდება და, ერთი შეხედვით, მბრუნავი შავი კვამლის შთაბეჭდილებას ტოვებს. „ხვრელები“ გარშემორტყმულია უცნობი წყალქვეშა არსებებით, რომლებიც პირველად 30 წლის წინათ შეამჩნიეს. უცნაურია, მაგრამ ეს არსებები კარგად ეგუებიან მაღალ წნევას, უსინათლობას, ცხელ, ქაფქაფა გარემოს. აქ არის მილიონობით ბაქტერია, რომლებიც ზღვის ფსკერიდან წამოსულ მომნამდვილებებს საკვებად გარდაქმნის.





ამ წყალქვეშა ცხელ წყაროებს ჰიდროთერმულ ხვრელებს უწოდებენ. ისინი მაშინ ჩნდება, როდე-საც დედამინის სიღრმეში ოკეანის ფსკერზე ჩნდება ნაპრალები. ნაპრალებში ჩაიღვრება წყალი, რომელიც მაგმასთან<sup>1</sup> შეხებით ცხელდება ზოგჯერ 300%-მდე, შემდეგ კი უკანვე ამოიფრქვევა ცივ ოკეანეში და თან ამოაქვს გამდნარი კენჭებისა და ქიმიური ნაერთების შავი ან ნაცრისფერი ფაფისებრი მასა.

მეცნიერებმა ყველაზე ღრმა ჰიდროთერმული ხვრელები კარიბის ზღვაში 5 კილომეტრის სიღრმეში, კაიმანის ღრმულში აღმოაჩინეს. კაიმანის ღრმული მსოფლიოში ყველაზე ღრმა წყალქვეშა ვულკანური ნაპრალია, რომელიც ზღვის ფსკერზე კაიმანისა და იამაიკის კუნძულებს შორის მდებარეობს. გეოლოგები გაკვირვებულნი არიან ხვრელის მიღების ზრდის სისწრაფით – დაახლოებით, 9 მეტრი 18 თვის განმავლობაში. ხვრელები მანამ იზრდება, სანამ ვერტიკალური მდგომარეობის შენარჩუნება შეუძლია, ხოლო შემდეგ გადაყირავდება ხოლმე. მის ადგილს კი ახალი ხვრელი იკავებს.

---

<sup>1</sup> მაგმა [ბერძ. *magma* - სქელი] - გამდნარი მასა დედამინის ქერქში და ქერქის ქვეშ.

## ფეირვერკი ცაში

ფოტოზე აუცილებლად გექნება ნანახი დიდი მოკაშ-კაშე რკალები, რომლებსაც ავრორას, დილის ნათებას, ჩრდილოეთის ან სამხრეთის ციალს ეძახიან. ისინი ხშირ-ად შეინიშნება ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსებზე. პო-ლარული რეგიონების მახლობლად მცხოვრები ადამი-ანები მას ხედავენ მრავალფერი სხივების უზარმაზარი მოციმციმე ფარდის სახით. ჩრდილოეთში მას ჩრდილო-ეთის ნათებას ეძახიან, ხოლო სამხრეთში – სამხრეთისას.

ავრორა შეიძლება მრავალი ფერით მოგვევლინოს, თუმცა უფრო ხშირად ღია მწვანე და ვარდისფერი გვხვდება. ცნობილია წითელი, ყვითელი, ლურჯი და იისფერი ნათებაც. ფერის გარდა ის ფორმითაც მრა-



ვალგვარია – ზოგჯერ ღრუბლის ფორმა აქვს, ხან ღრუბლებშია მიმობნეული, ზოგჯერ კონუსს, თაღს, მოფრიალე ფარდას ან გასროლილ ისრებს გვაგონებს, რომლებიც ცას არაბუნებრივ შუქს ჰქონენს.

### როგორ ჩნდება ავრორა?

მზის ზედაპირზე ტემპერატურა მილიონობით გრა-დუს უტოლდება ცელსიუსის სკალით. ასეთ ტემპერატურაზე გაზის მოლეკულები ეჯახება ერთმანეთს და იწვევს აფეთქებებს. აფეთქების შედეგან ამოიტყორცნება თავისუფალი ნაწილაკები. მზის ქარის მოქმედებით ისინი დედამიწის მიმართულებით იწყებენ მოძრაობას. დამუხტული ნაწილაკების წვიმა მზიდან დედამიწამდე საათში მილიონნახევარი კილომეტრის სიჩქარით მოდის (უფრო ზუსტად, 1609344000 კმ/სთ სიჩქარით!).

ნაწილაკები ხვდებიან დედამიწის მაგნიტურ ველში. დედამიწის მაგნიტური ველი მათ მიმართულებას უცვლის. თუმცა დედამიწის მაგნიტური ველი შედარებით სუსტია პოლუსებზე, რის გამოც ნაწილაკები პოლუსების სიახლოვეს აღწევენ ატმოსფეროში და აირის ნაწილაკებს ეჯახებიან. შეჯახების შედეგად წარმოიშობა ნათება, რომელსაც ჩვენ ჩრდილოეთის (ან სამხრეთის) მოცეკვავე ნათებად აღვიქვამთ.

ავრორას ნათება, დაახლოებით, 80 კილომეტრი სიგრძისაა და დედამიწის ზედაპირიდან 640 კილომეტრის სიმაღლეზე ჩნდება. მკვლევარებმა ისიც აღმოაჩინეს, რომ ავრორას ნათება თავის პიკს ყოველ 11 წელიწადში ერთხელ აღწევს. 2024 წელი მომდევნო პიკის პერიოდია.

## სფერული გაცი

რა არის სფერული მეხი?

ზოგჯერ, ჭექა-ქუხილის დროს, მოულოდნელად გა-  
მოჩნდება ადამიანის თავის ზომის გავარვარებული  
„ბურთი“. იგი დედამიწიდან რამდენიმე მეტრის სიმაღ-  
ლეზე დაფრინავს. ზოგჯერ მიწაზე დახტება, ეზოს ცეკ-  
ვით შემოუვლის, შემდეგ მკვეთრად ზემოთ აიჭრება და  
მანამ ნავარდობს ჰაერში, ვიდრე არ გაქრება. ეს საოც-  
არი ფენომენი სფერული მეხია. ზოგჯერ მისი გაქრობა  
მცირე სიმძლავრის აფეთქებას იწვევს.

სფერული მეხის შემთხვევებს ჯერ კიდევ ძველი ბერ-  
ძნები აღწერდნენ. მოგვიანებით, მე-18 საუკუნეში, გად-  
მოცემით, მას გერმანელი მეცნიერის სიცოცხლეც ემსხ-  
ვერპლა. არსებობს მეცნიერთა ჩანაწერები, რომლებიც  
სფერულ მეხს მეოცე საუკუნის დასაწყისში იკვლევდნენ.  
მას შემდეგ დიდი დრო გავიდა. მკვლევარებს კონკრეტ-



ული თეორია ჯერ კიდევ არ აქვთ შემუშავებული, რაც სფერული მეხის უცნაურ, იდუმალ ბუნებას ცოტათი მაინც ახსნიდა. თუმცა 2012 წელს ჩინელი მეცნიერების ჯგუფმა, ქინგჰაიში, დასავლეთი ჩინეთის რეგიონში, სრულიად შემთხვევით, არა მხოლოდ მოვლენაზე და-კვირვება და ჩანერა მოახერხა, არამედ გაზომა კიდეც მისი ზოგიერთი მახასიათებელი (ზომა, სისწრაფე და სხვ.). ეს იყო ამ ფენომენის ბუნებაში „დაჭერის“ პირველი შემთხვევა.

ჩინელი მეცნიერები ამტკიცებენ, რომ როდესაც ჩვეულებრივი მეხი დედამიწაზე ეცემა, ნიადაგიდან ამოიფრქვევა მინერალი, რომელსაც სილიკონი ჰქვია. მეცნიერთა აზრით, სილიკონი ქმნის ბუშტუკებს, რომლებიც უანგბადში წვას იწყებს. მეხის ამ გასაოცარ ბურთებში რკინისა და კალციუმის ნივთიერებებიც აღმოაჩინეს.

## აირის ზვავი

ალბათ, გსმენია თოვლის ზვავსა ან კლდეზვავზე და მათ გამანადგურებელ ძალაზე. როგორ ფიქრობ, აირის ზვავი რაღა უნდა იყოს?

აირის ზვავი აირისა და ღორღის ღრუბელია, რომლის ტემპერატურამ შეიძლება  $+537^{\circ}$ -საც კი გადააჭარბოს. ვულკანიდან ქარიშხლის სისწრაფით მოძრავი ჰაერის ცხელი, მტვრით და ფერფლით შედგენილი ნაკადი სულისშემძვრელი სანახაობაა. ის ვულკანის მძლავრი



ამოფრქვევის შედეგად წარმოიშობა. ამოფრქვევის საწყის სტადიაზე ვულკანის ყელის ზემოთ სვეტი ჩინდება. ამოფრქვეული სვეტი ატმოსფეროში ამოტყორცნის მოვარვარე ფერფლსა და ღორღლს.

ვულკანის ამოფრქვევისას გამდნარი ლავის გავარვა-რებული ნაკადი ქვემოთ ჩამოედინება მთის კალთებზე და გზაზე ყველაფერს მიწასთან ასწორებს. თუმცა აირის ზვავი კიდევ უფრო საშიშია. მისი მოძრაობა თოვლის ზვავის მოვარდნას წააგავს, იმ განსხვავებით, რომ იგი გაუსაძლისად ცხელია, შეიცავს მომწამვლელ აირებს და ქარიშხლის ძალის მქონე სიჩქარეს ავითარებს – საათში ზოგჯერ 100 კილომეტრს. ვულკანურ ფენომენთა შორის იგი ყველაზე მომაკვდინებელი ძალის მქონეა, რადგან ადამიანთა უმრავლესობას შეუძლია გზა აუქციოს ლავის ნაკადს, მაგრამ აირის ზვავისგან გაქცევა ისეთი ადვილი არ არის.


## „თოვლპორპალი“

კანადაში ზამთარში ქარბუქის შემდეგ გარეთ რომ გამოიჭყიტავ, ათობით მრგვალ, წისქვილის დოლაბის<sup>2</sup> ფორმის თოვლის გუნდას დაინახავ. მათ თოვლპორბლებს ეძახიან, რომლებსაც ბუნება ადამიანის დახმარების გარეშე აკეთებს.

თოვლპორბლების „დამზადებას“ კონკრეტული პირობები სჭირდება: მიწის ზედაპირი დაფარული უნდა იყოს ყინულოვანი, მყარი თოვლით, რომელსაც ციდან მოფარფატე თოვლი არ მიეკვრება. ასეთი ზედაპირი ჩნდება მზიან ამინდებში. ყინულოვანი ზედაპირის ქვეშ სველი, შედარებით რბილი თოვლი გროვდება. ძლიერი

---

<sup>2</sup> დოლაბი - წისქვილის ქვა.



და გამჭოლი ქარი თოვლის ზედაპირიდან თხელ ფენას ააგორებს. ასე ჩნდება პატარა თოვლბორბლები. შემ-დეგ ქარი მათ აქეთ-იქეთ მიმოფანტავს. გორვისას ისინი კიდევ აიკრავს დამატებით თოვლს, ხოლო უკან უცნაურ კვალს ტოვებს. გარეგნულად მათ გადაჭრილი მორის ფორმა აქვს, რომელიც ხშირად გულში ფუღუროა.

თოვლბორბლების ზომა გოლფის სათამაშო ბურთის ზომიდან 100-ლიტრიანი კასრის ზომამდე მერყეობს. ალბათ, ბუნება ასე გვატყობინებს, რომ გუნდაობის დრო დადგა!

ამ წიგნში ბუნებაში გამოვლენილი უცნაური შემ-თხვევების მხოლოდ მცირე ნაწილია აღწერილი. კიდევ უამრავი რამ შეიძლება მოხდეს ისეთი, რაც გაგვაოცებს და რის შესახებაც დაწვრილებით ინფორმაციას ვერსად ვნახავთ. ვინ იცის, შეიძლება შენც გადააწყდე ასეთ შემთხვევებს. აღწერე ისინი. მომავალში შეიძლება შენ თავად გამოიკვლიო ან ვინმე მეცნიერს გამოადგეს სა-კუთარი დაკვირვებებისთვის შენ მიერ აღწერილი უცნაური შემთხვევა.